1941
38. ს.
76

# თამარ აბაკელია

1941

თბილისი—ფედერაცია

ფედერაცია

# თამარ აბაკელია

ფერწერა
გრაფიკა
ქანდაკება

საქართველოს სახ. წიგნის პალატა
შემოვიდა ... 41
5
წელი
№ 38

1944

თამარ აბაკელია ერთერთი დამახასიათებელი ფიგურაა იმ ახალგაზრდა ქართველ მხატვრების თაობაში, რომელიც არა მარტო თავისი ასაკით, არამედ თავისი მსოფლმხედველობით, ფსიქოლოგიით, სტილის შეგრძნობით თანამედროვე საბჭოთა საქართველოს ეკუთვნის. ის ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის სკულპტურული კლასი და გრაფიკული ფაკულტეტი გაათავა; ქანდაკებას ის იაკობ ნიკოლაძის და ნიკოლოზ კანდელაკის ხელმძღვანელობით სწავლობდა, გრაფიკას კი — ი. შარლემანის ხელმძღვანელობით. როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელმა მისცა ახალგაზრდა მხატვარს მნიშვნელოვანი მითითებანი კომპოზიციის დარგში, ნიკოლაძემ და კანდელაკმა კი მას ადამიანის სხეულის მასის და მოცულობის შეგრძნობა ასწავლეს.

ინტიმური ხასიათის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში, რომელიც დასაბეჭდად არ არის განზრახული, მაგრამ გასაღებს იძლევა ავტორის შემოქმედების გასაგებად, თამარ აბაკელია ამბობს, სტუდენტობის დროიდანვე ჩემს მთავარ შესწავლის საგანს ადამიანი შეადგენდა, ჩემს სურათებში ძირითადი თემა ყოველთვის ადამიანთა გამოსახულებით არის გადაწყვეტილიო; ჩემი მთავარი მასწავლებლები კი ძველი ეგვიპტის და აღორძინების ეპოქის მოქანდაკეები და მხატვრები იყვნენო.

ჩვენი მხატვარი ქალის აღსარება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მას კლასიკოს ოსტატების ეპიგონობის გზა აერჩიოს. მართალია, მისი ზოგიერთი ჭოხრელიეფი და სურათი უცილობლად ამჟღავნებს მიქელ

ნამდვილი საბჭოთა მხატვარია, როგორც ოსტატი ის ახალ სამყაროს ასახავს ყოველი აბეზარი ტენდენციის გარეშე; და ეს გარემოება მის შემოქმედებას განსაკუთრებული ორიგინალობის ელფერს აძლევს. მის შედევრებად უნდა ჩაითვალოს ის რელიეფები და სურათები, სადაც შრომის პროცესებია გადმოცემული ან კიდევ მშრომელთა დასვენება, გართობა, დემონსტრაცია. აქ ის უცილობლად მონუმენტალობის შეგრძნობას იწვევს. ლიმონების თუ ყურძნის კრეფა, პირველი ტრაქტორის გამოშვება, სამრეწველო შრომის პროცესები, ბათომის დემონსტრაცია და სხვ. ისეთი გმირული სულითაა გაჟღენთილი, როგორიც წინანდელ მხატვრებს მითოლოგიური, რელიგიური ან ბატალური ჟანრის სურათებში შეჰქონდათ.

გარდა მონუმენტალური მხატვრობის დარგისა თამარ აბაკელიამ თავისი ნიჭი გამოსცადა თეატრის დეკორაციის და წიგნის ილუსტრაციის დარგში. ის თვით გულწრფელად აღიარებს, რომ თეატრმა მას მხოლოდ იმედის გაცრუება მოუტანა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემს ესკიზებს თავდაპირველად ქება არ გამოეწვიოს, მაგრამ როდესაც ისინი დეკორაციასა, ტანსაცმელსა და გრიმებში ხორციელდებიან, ყოველთვის დამარცხებას განვიცდიო. ამიტომ თეატრში მუშაობა ჩემთვის ნამდვილი წამება არისო.

უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა თამარ აბაკელიას მუშაობა წიგნის სამკაულის დარგში. მას ეკუთვნის „ვეფხვის ტყაოსნის“ რუსული და უკრაინული თარგმანის, „დავით სასუნცის“ ქართული თარგმანის, ვაჟა-ფშაველას პოემების და არსენას ლექსის რუსული გამოცემების და სხვა წიგნების ილუსტრაციები. ამ ილუსტრაციებსაც ნათლად აჩნევია მხატვრის დამახასიათებელი თვისებები: სკულპტურული პრინციპის შეტანა გრაფიკასა და ფერწერაში, ენერგიული და მტკიცე ნახატი, ნაკლებ ყუთიანი კოლორიტი, საკმაოდ ნათელი და ლოგიკური კომპოზიციური აღნაგობა, შუქჩრდილის კონტრასტულად გადმოცემა. შედარებით ნაკლებ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, რომ გმირული პათეტიკა, რომელიც ბუნებრივად გვეჩვენება თამარ აბაკელიას მონუმენტალურ კომპოზიციებში, მის მიერ შესრულებულ ილუსტრაციებში, ცოტა არ იყოს, თეატრალური პათეტიკის ელფერს დებულობს. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ პირველ შემთხვევაში მხატვარს კონტროლს უწევს სინამდვილისაგან მიღებული

შთაბეჭდილებანი, მეორე შემთხვევაში კი იგი მხოლოდ წიგნის ტექსტის შთაგონებით მუშაობს.

ახალგაზრდა საბჭოთა მხატვრების თაობა, რომელსაც თამარ აბაკელია ეკუთვნის, როგორც იდეოლოგიურად, ისე ფორმალურად ოპოზიციაში უდგას მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიულ მხატვრობას. პლენერისტებმა და იმპრესიონისტებმა მეცხრამეტე საუკუნეში თითქო საგნობრივი სამყაროს დემატერიალიზაცია მოახდინეს. მათ ჰაერი, სინათლე სურათის მთავარ გმირებად გამოაცხადეს; ადამიანი, ცხოველი, მცენარე თითქო გაითქვიფა ატმოსფეროს და მზის შუქის ლივლივში. საგნებმა თითქო დაჰკარგეს მასა, მოცულობა. სრულიად კანონიერი და მიზანშეწონილია, რომ თანამედროვე მხატვრები, და მათ შორის თამარ აბაკელია, სცდილობენ საგნობრივი სამყაროს უფლებები აღადგინონ, პლასტიკური ფორმის სიზუსტე და კომპოზიციის მონუმენტალობა შეიტანონ ფერწერაში. მაგრამ სასურველია, რომ ეს კანონზომიერი ოპოზიცია მეორე უკიდურესობაში არ გადავარდეს. საქმე ისაა, რომ რაც უნდა იყოს, ფერწერა არის არა მარტო ნახატის, არამედ ფერების ხელოვნებაც. სურათი ისეთ შთაბეჭდილებას არ უნდა ახდენდეს, თითქო ის გაფერადებული ნახატი იყოს, ვინაიდან ბუნება კი არ აფერადებს საგნებს, არამედ ფერი თვით ბუნებრივი საგნების ძირითად თვისებას წარმოადგენს. თუმცა კოლორიტის უგულებელყოფა თამარ აბაკელიასაც ისევე ეტყობა, როგორც ზოგიერთ მის თანამოასაკე მხატვარს, მაგრამ, როგორც სჩანს, ის გრძნობს ამ ნაკლს და სცდილობს შეძლებისამებრ კიდეც გადალახოს.

გერონტი ქიქოძე

# შინაარსი


| | |
|---|---|
| ბელადი დედასთან | ფერადი სურათი 1939 წელი. |
| ბედნიერი ოჯახი | ფერადი სურათი 1937 წელი. |
| პირველი ტრაქტორი | ფერადი სურათი 1940 წელი. |
| პარტიზანები | სურათის დეტალი 1936 წ. |
| ზვიადაური სტუმრად ქისტებთან | (ვაჟა ფშაველა) 1940 წ. |
| აბესალომ და ეთერი | (ხალხური თქმულება) 1940 წ. |
| არსენა ოძელაშვილი | ნახატი კინო-ფილმ. 1936 წ. |
| ფარსადან ბოდბისხეველი | ნახატი კინო-ფილმ. 1936 წ. |
| ტარიელი | ვეფხის ტყაოსნის ილუსტ. 1936 წ. |
| თინათინი | ვეფხის ტყაოსნის ილუსტ. 1936 წ. |
| ნესტანი | ვეფხის ტყაოსნის ილუსტ. 1936 წ. |
| ვეფხის ტყაოსნის მზითვად გატანება | ფერადი სურათი 1936 წ. |
| ქალის პორტრეტი | ნახატი სანგინით 1940 წ. |
| ნარინჯის კრეფა | ნახატი 1932 წ. |
| გლეხები | ესკიზი სურათისათვის 1940 წ. |
| კახეთი | ოთხი ილუსტრაცია 1935 წ. |
| კოლმეურნეთა ოჯახი | ქანდაკება 1939 წ. |
| სოფლის მეურნეობა | დეტალი გორელიეფიდან 1937 წ. |
| პარტიზანების და წითელარმიელთა შეხვედრა | (დეტალი) 1937 წ. |
| ბათომის დემონსტრაცია | (დეტალი) 1937 წ. |
| საქართველოს მეურნეობა | გორელიეფი 1937 წ. |
| ინდუსტრია საქართველოში | გორელიეფი 1937 წ. |
| ოქტომბერი საქართველოში | გორელიეფი 1937 წ. |
| ბედნიერი ცხოვრება | გორელიეფი 1937 წ. |

რედაქტორი: რ. გვეტაძე

გადაეცა წარმოებას IV 1941 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად V 1941 წ. ტექსტის ზომა 6x10
ალბომის ზომა 10x13. ტირაჟი 2000.
შეკვეთის № 693. უე 34071.
გამ. „ფედერაცია“-ს სტამბა, პლეხანოვის 181.

ალბომის ილუსტრაციები
დაბეჭდილია სახელგამის ცინკოგრაფიაში

ფერწერა
გრაფიკა
ქანდაკება




















































ფ ა ს ი—27 მან.

1941-38

76